საიდ. №69061/03

IR 1127533

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №195-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), მ. ბაკურაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „თვინ დისკ ინკორპორეიტიდ”-ის (Twin Disc Incorporated) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №195-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 22 აგვისტოს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1731/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „QUICK SHIFT” (საიდ. №69061/03 IR 1127533) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 22 აგვისტოს №1731/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "QUICK SHIFT" აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისათვის მოითხოვება მისი რეგისტრაცია, ვინაიდან შედგება საქონლის მხოლოდ ისეთი მახასიათებლებისაგან, რომელიც აღწერს მის დანიშნულებას, თვისებას, სახეობას (QUICK SHIFT ნიშნავს სწრაფი გადართვა, გადაცემა), აქედან გამომდინარე არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტების თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „თვინ დისკ ინკორპორეიტიდ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ექსპერტიზის გადაწყვეტილებაში ექსპერტმა კონკრეტულად არ აღნიშნა რატომ და რა ნიშნებით არის სასაქონლო ნიშანი „QUICK SHIFT" არაგანმასხვავებელუნარიანი მე-7 კლასის განცხადებული საქონლის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ნიშანი არ არის აღწერილობითი განცხადებული საქონლის მიმართ. აპელანტის მითითებით, ნიშანი განცხადებულია (საზღვაო) ხომალდების ტრანსმისიებისათვის. ტრანსმისიის დანიშნულებაა მბგრეხი მომენტის გადაცემა, მბგრეხი მომენტის სიდიდის ცვლილება და წნევის ძალვის ცვლილება. ხოლო „QUICK SHIFT" ინგლისურად „სწრაფ გადაადგილებას" ნიშნავს. აპელანტის მითითებით არანაირი კავშირი არაა ნიშნის „QUICK SHIFT"-სა და „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტში მოყვანილ კრიტერიუმებს შორის. აპელანტის განმარტებით, ამერიკული კომპანია 100 წელიწადზე მეტია ჩართულია ბიზნესში და მისი პროდუქცია კარგად არის ცნობილი საერთაშორისო ბაზარზე. სასაქონლო ნიშანი „QUICK SHIFT" გამოიყენება მე-7 კლასის სპეციფიკური საქონლისათვის (ტრანსმისიები საზღვაო ხომალდებისათვის და სანაოსნო ტრანსპორტისათვის) და რეგისტრირებულია მრავალ ქვეყანაში (აშშ,

ავსტრალია, ჰონგ კონგი, მალაიზია, სინგაპური, უკრაინა, ბენელუქსი, ევროკავშირი, ინდონეზია, იაპონია, ახალი ზელანდია, ნორვეგია და ა.შ.), რაც მეტყველებს ამ ნიშნების ფართო გავრცელებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 22 აგვისტოს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1731/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „QUICK SHIFT" (საიდ. №69061/03 IR 1127533) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ". ამავე კანონის მე-4 მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად".

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „QUICK SHIFT" არ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით სიტყვიერ აღნიშვნას მე-7 კლასის განცხადებული საქონლის მიმართ, რადგან სიტყვიერი აღნიშვნა „QUICK SHIFT" ქართულად ითარგმნება, როგორც „სწრაფი გადაადგილება" ასევე, სიტყვა „SHIFT" როგორც ზმნა, ნიშნავს „სიჩქარის გადართვას" (ავტომობილზე). მოცემულ შემთხვევაში აპელანტის მირ მე-7 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალი დაკავშირებულია ისეთ საქონელთან, როგორიცაა ტრანსმისიები საზღვაო ხომალდებისათვის და სანაოსნო ტრანსპორტისათვის, შესაბამისად

განცხადებული სასაქონლო ნიშნის ქართული მნიშვნელობა პირდაპირ და უშუალოდ არ აღწერს საქონლის ჩამონათვალს, მით უფრო, რომ აღნიშნული ტერმინს ქართველი მომხმარებელი, იქიდან გამომდინარე, რომ საშუალო მომხმარებელი შეიძლება არ ფლობდეს ინგლისურ ენას სათანადოდ, ვერ დაუკავშირებს მოცემულ სასაქონლო ნიშანს განცხადებულ საქონლის ჩამონათვალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „QUICK SHIFT" (საიდ. №69061/03 IR 1127533) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „თვინ დისკ ინკორპორეიტიდ"-ის (Twin Disc Incorporated) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 22 აგვისტოს №1731/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „QUICK SHIFT" (საიდ. №69061/03 IR 1127533) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	დ. ჭიჭინაძე
	მ. ბაკურაძე